თეა ტეტელოშვილი

ინტერაქტიული სავარჯიშოები

A1

ქართული როგორც უცხო ენა
GEORGIAN AS A FOREIGN LANGUAGE

A1 დონის ინტერაქციული სავარჯიშოები მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში.

ავტორი – თეა ტეტელოშვილი
ილუსტრატორ-დიზაინერი – ქეთევან ლომიშვილი

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი – მარიკა ოძელი

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახი“, 2017

A1 დონის „ინტერაქციული სავარჯიშოების კრებული“ განკუთვნილია ქართული ენის უცხოელი შემსწავლელებისათვის და მიზნად ისახავს მასწავლებლისა და სტუდენტის აქტიური მონაწილეობით შემსწავლელის ენობრივი ცოდნის განმტკიცებას, განსაკუთრებით ისეთი უნარების (ლაპარაკი, წერა) გაუმჯობესებას, რომლებიც ენის პრაქტიკაში გამოყენებას გულისხმობს. სავარჯიშოების კრებული აერთიანებს ენის ფლობის ყველა უნარს: წერას, კითხვას, მოსმენასა და ლაპარაკს და პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებიც A1 დონის შემსწავლელის წინაშე დგას ქართული ენისთვის ადაპტირებული საერთოევროპული „ენის ფლობის დონეების სტანდარტული აღწერილობის“ შესაბამისად (იხილეთ გვ. 4-5).

როდის გამოვიყენოთ „ინტერაქციული სავარჯიშოების კრებული“?

სავარჯიშოები ითვალისწინებს A1 დონის სრულ ლექსიკასა და გრამატიკულ ცოდნას. შესაბამისად, ცოდნის განმტკიცებისა და ენობრივი უნარების გააქტიურების მიზნით მისი გამოყენება მიზანშეწონილია „აღმართის“ ან ნებისმიერი სხვა A1 დონის სახელმძღვანელოს დასრულების შემდეგ A1 დონის ადაპტირებული საკითხავი ლიტერატურის გავლამდე, რამდენადაც მოსმენისა და კითხვის უნარების სავარჯიშოები ეფუძნება აღნიშნულ საკითხავ მასალას.

როგორ გამოვიყენოთ „ინტერაქციული სავარჯიშოების კრებული“?

როგორც კრებულის სახელწოდებაც მიანიშნებს, „ინტერაქციული სავარჯიშოების კრებული“ გულისხმობს მასწავლებლისა და შემსწავლელის ერთობლივ მუშაობას სავარჯიშოების შესრულებისას. ზოგი სავარჯიშო (მაგ., დიალოგის მე-5, მე-6, მე-7 და სხვ.) აგებულია ისე, რომ პირობის სტუდენტებისთვის გაცნობა მთლიანად მასწავლებელს ევალება. მასწავლებლის ჩართულობა აუცილებელია ტექსტებში გამოყენებული უცხო სიტყვების მნიშვნელობის გამოცნობის პროცესშიც. სწორედ ამიტომ მასწავლებელმა სავარჯიშოებზე მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს შემსწავლელთან უკუკავშირზე, რათა სრულად შესრულდეს წინამდებარე კრებულის შექმნის მიზანი. მოსასმენი დავალებების შესრულებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ისე მოასმენინოს აუდიომასალა სტუდენტს, რომ მას არ ჰქონდეს მოსასმენის შესაბამისი ტექსტის წაკითხვის შესაძლებლობა.

ქართული ენის ფლობის A1 დონის სტანდარტული აღწერილობა

წყარო: www.geofl.ge

მოსმენა

შემსწავლელს შეუძლია ქართულ ენაზე მეტყველებიდან საერთაშორისო სიტყვების (მაგ., ოფისი, ინტერნეტი...) გაგება.
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ნაცნობი სიტყვები, მარტივი ფრაზები, რიცხვები და სახელები გარკვევით და ნელა წარმოთქმულ მარტივ ტექსტში.
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს გარკვევით ნათქვამი მარტივი, ყოველდღიური მეტყველებისას ხშირად გამოსაყენებელი ლექსიკური ერთეულები და შესიტყვებები (მაგ., დიახ, არა, გამარჯობა, ნახვამდის, ბოდიში, გმადლობთ...).
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ნელა, გარკვევით და შიგადაშიგ პაუზებით წარმოთქმული მარტივი ტექსტი.
შემსწავლელს შეუძლია პიროვნების წარდგენისა თუ გაცნობის დროს ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება, როგორიცაა პიროვნების ვინაობა, ასაკი, ეროვნება.
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ზოგიერთი სიტყვა და გამოთქმა სხვების ნელი და მკაფიო საუბრიდან, რომელიც მას, მის ოჯახს ან სამსახურს ეხება.
შემსწავლელს შეუძლია გაიგოს რას ამბობს მასზე ან მის ოჯახზე ქართული ენის მატარებელი პიროვნება, თუ იგი ნელა, გარკვევით და მარტივი წინადადებებით ესაუბრება მას.
შემსწავლელს შეუძლია იმ მარტივი შეკითხვების გაგება, რომლებსაც პირადად მას უსვამენ.შემსწავლელს შეუძლია გაიგოს რა ღირს ნივთი, თუ გამყიდველი ცდილობს, რომ გარკვევით და ნელა უპასუხოს.
შემსწავლელს შეუძლია რიცხვების, დროის, ფასების გაგება ყოველდღიურ სიტუაციებში (მაგ., მაღაზიაში, სადგურზე, აეროპორტში...).

კითხვა

შემსწავლელს შეუძლია ტექსტში ცალკეული სიტყვების გაგება.
შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს ბლანკი თუ ინტერნეტში განთავსებული სარეგისტრაციო კითხვარი, რომელიც ითხოვს მნიშვნელოვან ინფორმაციას მის შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, ოჯახური მდგომარეობა...).
შემსწავლელს შეუძლია აბრებზე დაწერილი მიმანიშნებელი ინფორმაციის წაკითხვა და გაგება (მაგ., სადგური, პარკი, შესასვლელი, გასასვლელი, შესვენება, ღიაა, დაკეტილია...).
შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს აფიშებზე, პოსტერებსა და აბრებზე დაწერილი ზოგი ინფორმაცია და გაიგოს მათი ზოგადი შინაარსი.
შემსწავლელს შეუძლია მოკლე, მარტივი შეტყობინებების (მაგ., შეხვედრის დროის) გაგება.
შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს მარტივი მოსაწვევი ბარათი და გაიგოს, თუ რისთვის, სად, როდის და რომელ საათზე იწვევენ.
შემსწავლელს შეუძლია მარტივი ტექსტის მთავარი არსის გაგება, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას დართული აქვს ილუსტრაციები.
შემსწავლელს შეუძლია მისთვის საჭირო ღონისძიების შესახებ ძირითადი ინფორმაციის მოძიება (პროგრამებში, პოსტერებზე, ინტერნეტში...) და გაგება (მაგ., რა ღირს ბილეთი, სად და როდის ტარდება ღონისძიება...).

ლაპარაკი

შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით მისალმება, დამშვიდობება, თანხმობის, უარყოფის, თხოვნის, მობოდიშებისა თუ მადლიერების გამოხატვა (გამარჯობა, ნახვამდის, დიახ, არა, ბოდიში, გთხოვთ, გმადლობთ...).

შემსწავლელს შეუძლია მარტივი შეკითხვების დასმა (მაგ., რა არის, ვინ არის ეს /ის?).
შემსწავლელს შეუძლია საუბრისას დაასახელოს მარტივი ციფრები.
შემსწავლელს შეუძლია თავის წარდგენა, სხვისთვის შეკითხვის დასმა ვინაობასა (მაგ., შეუძლია ჰკითხოს თანამოსაუბრეს, თუ ვინ არის და რა ჰქვია მას...) და ასაკთან დაკავშირებით.
შემსწავლელს შეუძლია ინფორმაციის გაცემა თავისი დაბადების თარიღისა თუ ადგილის შესახებ და სხვისთვის კითხვის დასმა ამის თაობაზე.
შემსწავლელს შეუძლია მარტივად საუბარი თავისი ოჯახის შესახებ (მაგ., ვინ არიან მისი ოჯახის წევრები...).
შემსწავლელს შეუძლია თქვას, რა ფერისაა მისი ტანსაცმელი, ესა თუ ის ნივთი, ასევე იკითხოს, თუ რომელი საგანი რა ფერისაა.
შემსწავლელს შეუძლია ადამიანის გარეგნობის მარტივად აღწერა.
შემსწავლელს შეუძლია ახლობელი ადამიანების ან საკუთარი საცხოვრებელი ადგილის, ასევე საკუთარი საქმიანობის შესახებ მარტივად საუბარი.
შემსწავლელს შეუძლია მარტივი ენით აუხსნას სხვას ნაცნობი ობიექტის ადგილმდებარეობა, მასთან მისასვლელი გზა და საშუალება.
შემსწავლელს შეუძლია დროისა და თარიღის (რიცხვი, დღე, თვე, წელი, სეზონი...) დასახელება და შეკითხვის დასმა ამასთან დაკავშირებით.
შემსწავლელს შეუძლია შეიძინოს ან შეუკვეთოს სასურველი საჭმელი, სასმელი, ტანსაცმელი, იყიდოს ბილეთი.
შემსწავლელს შეუძლია პასუხის გაცემა მარტივ შეკითხვებზე მარტივი სიტყვებით, გამოთქმებითა და წინადადებებით.
შემსწავლელს შეუძლია დიალოგში მონაწილეობა, თუ მოსაუბრე ელაპარაკება ნელა და გარკვევით, ამასთანავე საჭიროებისამებრ უმეორებს ნათქვამს და ეხმარება აზრის გადმოცემაში.

წერა

შემსწავლელს შეუძლია საკუთარი მონაცემების (სახელი, გვარი, ასაკი, ეროვნება, მისამართი...) ჩაწერა ბლანკში, სასტუმროს სარეგისტრაციო ფურცელში და ასევე ამ მონაცემების შემცველი ინფორმაციის შევსება ინტერნეტგვერდებზე.
შემსწავლელს შეუძლია ფოტოებზე/ნახატებზე დანახული საგნის აღმნიშვნელი ძალიან მარტივი სიტყვების ჩაწერა (მაგ., ადამიანები, ცხოველები, ნივთები...).
შემსწავლელს შეუძლია ლექსიკონის, სახელმძღვანელოს, სავარჯიშო რვეულის დახმარებით რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი მარტივი წინადადების დაწერა.
შემსწავლელს შეუძლია მარტივად დაწეროს / უპასუხოს სხვის შეკითხვებს / თავად დაუსვას სხვას შეკითხვები ვინაობის, პროფესიის, საქმიანობისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ.
შემსწავლელს შეუძლია აღწეროს, თუ როგორ არის მოწყობილი მისი ოთახი. მას ასევე შეუძლია მარტივი სიტყვებით აღწეროს საყოფაცხოვრებო ნივთები (მაგ., მანქანის ფერი, ზომა...).
შემსწავლელს შეუძლია ძალიან მარტივი, მოკლე წინადადებებით დაწეროს იმ ადამიანებსა და საგნებზე, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდება (მაგ., სამსახური, ოჯახი, ჰობი, ნაცნობები, დღის რეჟიმი...).
შემსწავლელს შეუძლია ძალიან მოკლე ტექსტის დაწერა მარტივი, ერთმანეთთან აზრობრივად დაკავშირებული წინადებებით (მისალოცი ბარათები, არაოფიციალური ელექტრონული წერილები...).
შემსწავლელს შეუძლია პირადი მიზნებისათვის გეგმებისა და ვადების შესახებ მარტივი ჩანაწერების გაკეთება.
შემსწავლელს შეუძლია მეგობრებს მისწეროს მოკლე, მარტივი შეტყობინება, რომელიც შეიცავს შეკითხვას ან ინფორმაციას.

ქართული როგორც უცხო ენა

GEORGIAN AS A FOREIGN LANGUAGE

მოსმენის უნარის განვითარებისთვის გამოყენებულია A1 დონის ადაპტირებული საკითხავი მასალა (ვებმისამართი: http://geofl.ge/#!/page_read-book).

დავალება 1

ყურადღებით მოისმინეთ „ჩემი სოფელი“ (1) და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. რა ენატრება გოგონას ყველაზე მეტად?
2. რა სურს გოგონას?
3. რა ხილია გოგონას სოფელში?
4. ტექსტის მიხედვით გოგონა სოფელში ცხოვრობს?
5. რისი სურათები გადაიღო გოგონამ სოფელში?

დავალება 2

ყურადღებით მოისმინეთ „ჩემი სოფელი“ (2) და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. რამდენი მოსწავლე სწავლობს სოფლის ახალ სკოლაში?
2. რომელ საათამდე არიან მოსწავლეები სკოლაში?
3. ბიბლიოთეკის გარდა, კიდევ რა არის სკოლაში?
4. სპორტის რომელი სახეობები არის ჩამოთვლილი ტექსტში?
5. ვისი გამოფენა აქვთ ხშირად სკოლაში?

დავალება 3

ყურადღებით მოისმინეთ „ჩემი სოფელი“ (4) და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. რას ყიდიან სოფლის ახალ ბაზარში?
2. სად უფრო იაფად იყიდი პროდუქტს: თბილისის სუპერმარკეტებში თუ სოფლის ახალ ბაზარში?
3. „ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ ჩვენს სოფელში ასეთი კარგი და ლამაზი ბაზარია“ – ვინ ამბობს ამას?
4. საიდან მიაქვთ პროდუქტები ახალ ბაზარში?
5. სხვა რა სათაური შეიძლება ჰქონდეს ამ ტექსტს? რატომ?

დავალება 4

ყურადღებით მოისმინეთ „ლეგენდა თბილისზე“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. რა დროიდან არის თბილისი საქართველოს დედაქალაქი?
2. ვინ იყო ვახტანგ გორგასალი?
3. სად ნადირობდა ვახტანგ გორგასალი, როცა თბილი წყაროები ნახა?
4. საიდან მოდის სიტყვა „თბილისი“?
5. არის თუ არა ახლა თბილისში თბილი წყაროები?

დავალება 5

შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. ყურადღებით მოისმინეთ „ორი მელა“. მოსმენის შემდეგ უნდა დაასახელოთ ტექსტში გამოყენებული ანტონიმები.
2. ნათესაობის აღმნიშვნელი რომელი სიტყვაა ტექსტში?
3. მოკითხვის რომელი ფორმულა არის ტექსტში?
4. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს „შენიანები“?
5. გაიგეს მელიებმა ერთმანეთის ამბავი? რატომ?

დავალება 6

ყურადღებით მოისმინეთ „შეკითხვები სიყვარულის შესახებ“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. გაცნობის რომელი ფორმულაა ტექსტში? თქვენი აზრით, ეს ფორმულა ოფიციალურია თუ არაოფიციალური? რატომ?
2. რამდენი წლის არის გოჩა?
3. გოჩა ერთ კითხვაზე პასუხობს: - „რა ვიცი, აბა!“ როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს ეს ფრაზა?
4. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს „შეყვარებული“?
5. გოჩას აზრით, რა არის სიყვარული?

დავალება 7

ყურადღებით მოისმინეთ „მეფე და შვილები“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. რამდენი ვაჟი ჰყავდა მეფეს?
2. მეფის თხოვნით, რამდენი ისარი მიუტანეს მას?
3. დაამტვრია მეფემ ოცდაათი ისარი ერთად? რატომ?
4. მეფემ ერთი ისარი ადვილად გატეხა ვიდრე ოცდაათი ერთად. რატომ?
5. რატომ მოიქცა ასე მეფე და რა რჩევა მისცა შვილებს?

დავალება 8

ყურადღებით მოისმინეთ „ნიკო ფიროსმანი“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. ვისთვის იყო ნიკო ფიროსმანი ნიკალა?
2. რა დროიდან ხატავდა ნიკო ფიროსმანი?
3. ტექსტის მიხედვით, როგორი იყო ნიკალა?
4. როგორი ცხოვრება ჰქონდა ნიკო ფიროსმანს? ისაუბრეთ.
5. რომელი ანტონიმები არის ტექსტში?

დავალება 9

ყურადღებით მოისმინეთ „ელენე ახვლედიანი“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. რომელ ქვეყნებში სწავლობდა ელენე ახვლედიანი?
2. რომელი ცნობილი მხატვრის მეგობარი იყო ელენე ახვლედიანი?
3. რატომ არ გაყიდა ნახატი „კახეთი, ზამთარი“ ელენე ახვლედიანმა? ვის უნდოდა მისი ყიდვა?
4. ძირითადად რას ხატავდა ელენე ახვლედიანი?
5. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს „რომანტიკული“? როგორ არის ეს სიტყვა თქვენს მშობლიურ ენაში?

დავალება 10

ყურადღებით მოისმინეთ „ნაწყვეტები ინტერნეტფორუმიდან“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. ბავშვობაში რომელი წიგნი უყვარდა ნუცას?
2. რომელი პერსონაჟები მოსწონდა ნუცას ბავშვობაში?
3. რომელი წიგნები წაუკითხა ნუცამ თავის შვილს?
4. რამდენი წლის არის ნუცას შვილი?
5. როგორ ფიქრობთ, რატომ უყვარს ნუცას შვილს წიგნები? ისაუბრეთ.

ქართული როგორც უცხო ენა

GEORGIAN AS A FOREIGN LANGUAGE

კითხვის კომპონენტზე ვარჯიშისთვის გამოყენებულია A1 დონის ადაპტირებული საკითხავი მასალა (ვებმისამართი: http://geofl.ge).

დავალება 1

წაიკითხეთ „კავკასია და საქართველო“ და უპასუხეთ კითხვებს:

1. სად არის საქართველო?
2. თქვენთვის ნაცნობი კიდევ რომელი ქვეყანაა კავკასიაში?
3. როგორი კლიმატია კავკასიაში?
4. რომელი ქალაქია საქართველოს დედაქალაქი?
5. ტექსტის მიხედვით ისაუბრეთ საქართველოს კლიმატსა და ლანდშაფტზე.

დავალება 2

წაიკითხეთ „ამინდი საქართველოში“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. ვინ არის ნინო მაჭავარიანი პროფესიით?
2. ამინდის პროგნოზის მიხედვით რომელ ქალაქში იქნება მეტი სითბო?
3. რომელ ქალაქში ეცივება ყველაზე მეტად?
4. ჩამოთვლილი ქალაქებიდან თქვენ რომელ ქალაქში ყოფილხართ და წელიწადის რომელ დროს? როგორი ამინდი იყო მაშინ? ისაუბრეთ.
5. ისაუბრეთ როგორი ამინდია ახლა?

დავალება 3

წაიკითხეთ „დასვენება საქართველოში“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. საქართველოში არის ზამთრის კურორტები?
2. რომელი ზამთრის კურორტებია აღნიშნული ტექსტში? წაიკითხეთ.
3. რომელი ზაფხულის კურორტებია აღნიშული ტექსტში? წაიკითხეთ.
4. აღნიშნული კურორტებიდან თქვენ სად ყოფილხართ? წელიწადის რომელ დროს? როგორ დაისვენეთ?
5. ისაუბრეთ თქვენი ქვეყნის კურორტების შესახებ.

დავალება 4

წაიკითხეთ „წერილი საქართველოდან“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. ტექსტის მიხედვით სად არის ტობიასი?
2. ტექსტში იპოვეთ და წაიკითხეთ ქალაქები, რომლებიც ტობიასმა ნახა.
3. როგორი ამინდია საქართველოში?
4. რა ამბავს იგონებს ტობიასი წერილში?
5. ეს წერილი ოფიციალურია თუ არაოფიციალური?

დავალება 5

წაიკითხეთ „მეფე და მხატვარი“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. როგორი იყო მხატვარი? პასუხი იპოვეთ ტექსტში.
2. რატომ უნდოდა მეფეს მხატვრის დასჯა?
3. რა დაავალა მეფემ მხატვარს?
4. როგორ დახატა მხატვარმა მეფე და რატომ?
5. თქვენი აზრით, რა არის იგავის მთავარი აზრი? ისაუბრეთ.

დავალება 6

წაიკითხეთ „სოფლის მაშენებლები“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. რა უნდოდათ მელას და მამალს?
2. როგორ გადაწყვიტეს სოფლის აშენება?
3. ტექსტში იპოვე სიტყვები, რომლებიც მამლისა და ძაღლის ხმიანობას ჰქვია.
   შენს მშობლიურ ენაზე როგორ გამოითქმის ეს სიტყვები?
4. იპოვეთ სიტყვები, რომლებიც მეგობრებისა და მელას განსხვავებულ თვისებებს გამოხატავს?
5. თქვენი აზრით, რა არის იგავის მთავარი აზრი? ისაუბრეთ.

დავალება 7

წაიკითხეთ „ყველაზე ტკბილი და ყველაზე მწარე“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. რა დავალება მისცა მეფემ ვეზირს პირველად?
2. რა დავალება მისცა მეფემ ვეზირს მეორედ?
3. როგორ მოიქცა ვეზირი ორივე შემთხვევაში და რატომ?
4. იპოვეთ სიტყვები, რომლებიც განსხვავებულ თვისებებს გამოხატავს.
5. თქვენი აზრით, რა არის იგავის მთავარი აზრი? ისაუბრეთ.

დავალება 8

წაიკითხეთ „კატა და ლომი“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. რა ჰქვია ლომის შვილს?
2. რატომ გადაწყვიტა ლომმა კატის შეჭმა?
3. რატომ არ ასწავლა კატამ ლომს ხეზე ასვლა?
4. როგორია კატა? ისაუბრეთ მის შესახებ მოქმედებებიდან გამომდინარე.
5. თქვენი აზრით, რა არის იგავის მთავარი აზრი? ისაუბრეთ.

დავალება 9

წაიკითხეთ „კუ და მორიელი“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. რატომ დაისვა კუმ მორიელი ზურგზე?
2. რა გააკეთა მორიელმა, როდესაც წყალში იყვნენ ის და კუ?
3. რა გააკეთა კუმ?
4. როგორი მეგობარი არის მორიელი?
5. თქვენი აზრით, რა არის იგავის მთავარი აზრი? ისაუბრეთ.

დავალება 10

წაიკითხეთ „ორი ძმა“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

1. რომელ მხარეს იყო უფროსი ძმის მარანი? უმცროსი ძმის მარანი?
2. რას ინახავდნენ ძმები მარანში?
3. რატომ დებდა უფროსი ძმა უმცროსი ძმის მარანში პროდუქტს ღამით? უმცროსი ძმა?
4. როგორი ძმები იყვნენ ისინი?
5. თქვენი აზრით, რა არის იგავის მთავარი აზრი? ისაუბრეთ.

დიალოგი

1 ჯგუფის წევრებს წარუდგინეთ თქვენი თავი (ვინ ხართ, საიდან ხართ, რამდენი წლის ხართ, სად ცხოვრობთ, რას საქმიანობთ...) და მათაც დაუსვით კითხვები მსგავს თემებზე.

2 ჯგუფის სხვა წევრებს წარუდგინეთ და გააცანით თქვენი მეგობარი (ვინ არის, რამდენი წლის არის, რას საქმიანობს, სად ცხოვრობს და ა.შ.), უპასუხეთ ჯგუფელების შეკითხვებს.

3 ჯგუფის სხვა წევრებს გააცანით თქვენი ქვეყნის ტრადიციული საჭმელები და მათაც ჰკითხეთ ამის შესახებ.

4 ჯგუფის წევრებს ჰკითხეთ მათი ოჯახის წევრების შესახებ და თქვენც უპასუხეთ მის შეკითხვებს.

5 **თამაში მინიშნებით (გარეგნობა)**
სტუდენტები უნდა დაიყონ ორ ჯგუფად. თითოეული ჯგუფი ირჩევს ლიდერს, რომელიც მეორე ჯგუფს აღუწერს მათივე ჯგუფის ერთ-ერთი წევრის გარეგნობას ერთი ნიშნის მიხედვით. მეორე ჯგუფმა უნდა გამოიცნოს ვისზეა საუბარი. თუ ამ ერთი წინადადებით რთულია გამოცნობა, მეორე ჯგუფის წევრები სვამენ დამატებით კითხვებს, თითო თითოს ერთ ჯერზე. პირველი გუნდის წევრები ამ კითხვებს პასუხობენ. ითვლება გამოსაცნობად საჭირო კითხვების რაოდენობა. შემდეგ მეორე ჯგუფი აღწერს მათივე ჯგუფის ერთ-ერთ წევრს და იმავე პრინციპით მიმდინარეობს თამაში. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც ითვლება დასმული კითხვების რაოდენობა. გამარჯვებულად ითვლება ის ჯგუფი, რომელიც ნაკლები კითხვით მოახერხებს გამოიცნოს, ვისზეა საუბარი.

6 **თამაში გამოცნობანა (სახლი)**
თითოეული სტუდენტი აღწერს ოთახს, ოღონდ არ ასახელებს, რომელ ოთახზე საუბრობს. ნივთების მიხედვით სხვა სტუდენტებმა უნდა გამოიცნონ და დაასახელონ ოთახი. თითოეულ გამოცნობაზე შემსწავლელი აგროვებს თითო ქულას. გამარჯვებულია ის, ვინც მეტ ქულას დააგროვებს ჯამში.

7 ისაუბრეთ როგორი ამინდია თქვენთვის საყვარელ წელიწადის დროს. ჰკითხეთ თქვენი ჯგუფის სხვა წევრებს ამინდების შესახებ.

8 ისაუბრეთ, თქვენს ქვეყანაში რა დღესასწაულებს აღნიშნავენ და როდის. ჰკითხეთ თქვენი ჯგუფის წევრს აღნიშნულის შესახებ.

9 **სიტუაციური თამაში**
გაინაწილეთ როლები და გაითამაშეთ სიტუაცია ტანსაცმლის/ სურსათის/წიგნის მაღაზიაში/ ბაზარში... დაუსვით ერთმანეთს შეკითხები და შეეცადეთ პასუხი გასცეთ სხვის შეკითხვებს ფასის, ფერის, წონის... და ა.შ. შესახებ.

10 ჰკითხეთ თქვენი ჯგუფის წევრს, როგორ შეიძლება მისვლა უახლოეს ბანკში, მეტროს სადგურში, სუპერმარკეტში და სხვ. დააზუსტეთ მისამართი და გაიგეთ, ფეხით მისვლისთვის რა გზა უნდა გაიაროთ, ტრანსპორტის საჭიროების შემთხვევაში – გაარკვიეთ რა ტრანსპორტი გჭირდებათ.

მონოლოგი

1. ეს მე ვარ (საკუთარი თავის წარდგენა)
2. ჩემი მეგობარი (ვინ არის, რამდენი წლის არის, რას საქმიანობს, სად ცხოვრობს და ა.შ.)
3. საუზმე/სადილი... ჩემს ქვეყანაში
4. ჩემი ოჯახი
5. ჩემი საყვარელი მსახიობი (აღწერეთ მისი გარეგნობა)
6. ჩემი სახლი (აღწერეთ თქვენი სახლი/ოთახი)
7. გაზაფხული/ზაფხული/შემოდგომა/ზამთარი ჩემს ქალაქში/სოფელში
8. დაასახელეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი თარიღი და აღნიშნეთ, რატომ არის ეს თარიღი თქვენთვის მნიშვნელოვანი.
9. ისაუბრეთ, როგორ მგზავრობთ, როგორ იხდით მგზავრობის საფასურს, როგორ ყიდულობთ ბილეთებს... ისაუბრეთ ონლაინყიდვის შესახებ: თუ იყენებთ ამ მომსახურებს, რამდენად მოგწონთ და ა.შ.
10. გზა შინიდან სამსახურამდე/სასწავლებლამდე/კაფემდე/ბიბლიოთეკამდე... – ისაუბრეთ როგორ და რა ტრანსპორტით მიდიხართ შესაბამის პუნქტამდე, აღწერეთ მარშრუტი.

1 სარეგისტრაციო ანკეტა შეავსეთ თქვენი მონაცემებით (იხ. სავარჯიშოების ვიზუალური მასალა).





ელ-ფოსტა

ტელეფონის ნომერი

პაროლი

დაადასტურე პაროლი

სახელი

გვარი

სქესი

დაბადების თარიღი

მოქალაქეობა

☑ მე მსურს შეთავაზებების მიღება ელ. ფოსტით

რეგისტრაცია


მთავარი
მალე
ბრენდები
აქციები რუკაზე
კონტაქტი
ავტორიზაცია
HOTSALE
ყოველდღის საუკეთესო პირნვანი
კვება
გართობა
სილამაზე
ჯანმრთელობა
ტურიზმი
ბავშვები
განათლება
ავტო
სხვადასხვა
წიგნები
ტექნიკა
კინო
საჩუქრები
საკვების მიტანა
ავტორიზაცია
ელ.ფოსტა ან მომხ. სახელი
პაროლი
დამახსოვრება
ავტორიზაცია
პაროლის აღდგენა
ან
Log in With Facebook
Log in With Gmail
რეგისტრაცია
ფიზიკური
იურიდიული პირი
სახელი
გვარი
ელ.ფოსტა
მომხმარებლის სახელი
პაროლი
პაროლის დადასტურება
ტელეფონი
დღე
თვე
წელი
კოდი
მე ვეთანხმები მომსახურეობის პირობებს
რეგისტრაცია


ჩვენ შესახებ | კითხვები | რჩევები | სიახლეები | კორპორატიული კლიენტებისთვის | კონტაქტი
მოგესალმებით! | შესვლა | რეგისტრაცია
Deals.ge
კალათა
პროდუქტი: 0
ჯამი: 0 ლ.
მსხვილი ტექნიკა
სამზარეულოს ტექნიკა
ტელეფონები
სამავშვო
სხვა კატეგორიები
საოფისე
ავტო
დასვენება & გართობა
კლიმატური ტექნიკა
სამშენებლო ხელსაწყოები
ბაღის ხელსაწყოები
აგროტექნიკა
სახლი, ინტერიერი, ტექსტილი
3 წლიანი გარანტია!
250₾
199 ლარი
13
14
15
რეგისტრაცია
X
სახელი: *
გვარი: *
ელ-ფოსტა: *
მობ. ტელეფონი: *
სქესი: *
დაბადების თარიღი: *
დღე
თვე
წელი
პაროლი: *
გაიმეორეთ პაროლი
facebook
რეგისტრაცია
როგორ შევიძინო?
განვადების პირობები
მიწოდების სერვისი
Meizu M6S - კომპანიის ახალი
კომპანიამ Razer პირველი გეიმერული
კომპანია Hoover-მა „მომავალის
სხვა სტატიები
როგორ შევარჩიოთ პრინტერი
ყველაზე პოპულარული სიმბოლოები და
10 აპლიკაცია ეფექტური ფოტოებისთვის
სხვა რჩევები
აქციები!





რეგისტრაცია

ფიზიკური პირი | იურიდიული პირი

პერსონალური ინფორმაცია

მომხმარებლის ნომერი *

ქალაქი *

ელ,ფოსტა *

მისამართი *

სახელი *

პაროლი *

გვარი *

გაიმეორეთ პაროლი *

☐ სიახლეების გამოწერა

ავტორიზაცია

რეგისტრაცია

3 ჩემი ოჯახი

4 ჩემი სამსახური

5 ჩემი დღე

6 ჩემი ოთახი

7 ჩემი ინტერნეტმეგობარი (ვინ არის? რატომ დამეგობრდით? რა თემებზე საუბრობთ?)

8 ხვალინდელი დღის განრიგი

9 მისწერეთ მეგობარს ახალი წლის/ დაბადების დღის / ... მილოცვის ტექსტი.

10 მისწერეთ მეგობარს ელექტრონულ ფოსტაზე წერილი და მოუყევით თქვენი დასვენების/ შვებულების/სამუშაოს/სწავლის... შესახებ.



www. geofl.ge